

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს  
მორიგი სხდომის**

**ოქმი #5**

თარიღი: 31 ივლისი, 2020 წელი

დრო: 16:00 საათი

ადგილი: დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი; მის: ჭავჭავაძის ქ. N14

**თავმჯდომარე:** გრიგოლ მახარაძე, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელის ოზურგეთის ოფისის კოორდინატორი, მერის სათათბირო ორგანოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე.

**მდივანი:** თამარ ლლონტი, გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, მერის სათათბირო ორგანოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივანი.

**ესწრებოდნენ მრჩეველთა საბჭოს შემდეგი წევრები:** ოზურგეთის ღვაწლმოსილი მოქალაქე კოტე შავიშვილი, კერძო ბიზნესის წარმომადგენელი ალექსანდრე ტულუში, პედაგოგი ხათუნა თოიძე, მეწარმე ოლეგ გობრონიძე, მეწარმე ია ურუშაძე, მოქალაქე ვლადიმერ ხავთასი, ბიზნესმენი ოთარ ჩხარტიშვილი.

**სხდომას ასევე ესწრებოდნენ:**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ვიცე მერი ალექსანდრე სურგულაძე და მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელი ეკატერინე მგელაძე

მასმედიის წარმომადგენლები: ტელეკომპანია „გურია“ - ნინო ვაშალომიძე და გაზეთი „ნუგზარ ასათიანი“.

**დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები:**

1. ქალაქ ოზურგეთის გენერალური გეგმის მიღებისთვის მუნიციპალიტეტის მერისთვის რეკომენდაციების წარდგენა

მომხსენებელი გრიგოლ მახარაძე, საბჭოს თავმჯდომარე

2. ქალაქ ოზურგეთში დამენიას ქუჩის რეაბილიტაციის შესახებ მუნიციპალიტეტის მერისთვის რეკომენდაციის წარდგენა

მომხსენებელი გრიგოლ მახარაძე, საბჭოს თავმჯდომარე

3. სოფელ ნაგომარში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის შესახებ მუნიციპალიტეტის მერისთვის რეკომენდაციის წარდგენა

მომხსენებელი გრიგოლ მახარაძე, საბჭოს თავმჯდომარე

3. ქალაქ ოზურგეთის ცენტრში მდებარე ისტორიული აბანოების კონსერვაციის

შესახებ მუნიციპალიტეტის მერისთვის რეკომენდაციის წარდგენა

მომხსენებელი გრიგოლ მახარაძე, საბჭოს თავმჯდომარე

სხდომას მიესალმა თავმჯდომარე გრიგოლ მახარაძე, რომელმაც დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ჩამონათვალი, ხოლო მომხსენებლის რანგში ისაუბრა დღის წესრიგით გათვალისწინებული სამივე საკითხის შესახებ:

**#1: ქალაქ ოზურგეთის გენერალური გეგმის მიღებისთვის მუნიციპალიტეტის მერისთვის რეკომენდაციების წარდგენა:**

მომხსენებელმა საბჭოს წევრებს გააცნო ქალაქ ოზურგეთის გენერალური გეგმის შემუშავებისთვის მიმდინარე პროცესი. ისაუბრა ორგანიზაცია „პროგრესის სახლის“ პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შესახებ, რომელის ფარგლებში მოხდა იმ საკითხების იდენტიფიცირება, რაც უნდა აისახოს ოზურგეთის გენერალურ გეგმაში, ესენია: ქალაქის საზღვრების შეფასება, ზონირება და პარკების და ღია სივრცეების დაცვა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, მცირე მდინარეების დაცვა, საზოგადოებრივი ტრანსპორტის საჭიროების შეფასება. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამჟამად მუნიციპალიტეტი თავად ცდილობს გენგეგმის დოკუმენტის შემუშავებას, თუმცა ეს მუნიციპალიტეტის შესაძლებლობებს აღემატება და უმჯობესია მუნიციპალიტეტმა კვალიფიციური ორგანიზაციების დახმარებით წარმართოს ეს პროცესი, რათა ყველა ჩამოთვლილი საკითხი იყოს ასახული გენერალურ გეგმაში.

**რეკომენდაცია:** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ გაითვალისწინოს ორგანიზაცია „პროგრესის სახლის“ კვლევის მიგნებები გენერალური გეგმის მომზადების პროცესში

**#2: ქალაქ ოზურგეთში დამენიას ქუჩის რეაბილიტაციის შესახებ მუნიციპალიტეტის მერისთვის რეკომენდაციის წარდგენა:**

მომხსენებელმა ისაუბრა ქუჩის ამჟამინდელი მდგომარეობისა და მოსახლეობის მოთხოვნების შესახებ რაც ამ პატარ ქუჩის რეაბილიტაციას ეძღვნება. საკითხის წარდგენის პროცესში ჩაერთო მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი ბატონი ალექსანდრე სურგულაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ ქუჩის რეაბილიტაციამდე კომუნიკაციების პრობლემაა მოსაგვარებელი, რომ სანამ ეს საკითხი არ მოგვარდება, მანამდე ვერ დაიწყება ქუჩის რეაბილიტირება. თუმცა აუცილებელია, რომ საპროექტო სამუშაოები მანამდე დაიწყოს დროის დაზოგვის მიზნით.

**რეკომენდაცია:** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს ზაზა დამენიას ქუჩის რეაბილიტაციის საჭირო ღონისძიებები

### **#3: სოფელ ნაგომარში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის შესახებ მუნიციპალიტეტის მერისთვის რეკომენდაციის წარდგენა**

მომხსენებელმა აუდიტორიას გააცნო სოფელ ნაგომარში არსებული წყალმომარაგების პრობლემა, აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომაზე ამ საკითხის დაყენების თხოვნით მას მიმართა სოფელ ნაგომარის მოსახლობამ. წყალმომარაგების უზრუნველყოფა ადგილობრივი თვითმმართველობის ვალდებულებაა და პანდემიის პირობებში, როდესაც ჰიგიენის დაცვა ვირუსის გავრცელების პრევენციის ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა, მუნიციპალიტეტმა პრიორიტეტად უნდა დასახოს წყლის მიწოდების უზრუნველყოფა იმ დასახლებებში, სადაც წყალმომარაგების სისტემა არ არსებობს.

**რეკომენდაცია:** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს სოფელ ნაგომარში წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა/რეაბილიტაციისთვის საჭირო ღონისძიებები

### **#4: ქალაქ ოზურგეთის ცენტრში მდებარე ისტორიული აბანოების კონსერვაციის შესახებ მუნიციპალიტეტის მერისთვის რეკომენდაციის წარდგენა:**

მომხსენებელმა აუდიტორიას გააცნო ძეგლის ამჟამინდელი მდგომარეობა. აღნიშნა, რომ ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის მიერ 2013 წელს შედგენილია ძეგლის კონსერვაციის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კიბის მოწყობას, რათა ნულოვან ნიშნულამდე ჩავიდნენ დამთვარიელებლები; ძეგლის გადახურვას, რათა ნალექებისგან მოხდეს მისი დაცვა და ასევე საინფორმაციო აბრების განთავსებას. დღესდღეობით არსებული ხარჯთაღრიცხვა 100 ათას ლარს შეადგენს, თუმცა არსებობს იმის ალბათობა, რომ ხარჯი გაიზარდოს, ვინაიდან პროექტი 2013 წელსაა შედგენილი.

**რეკომენდაცია:** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ 2021 წლის ბიუჯეტში ასახოს აბანოს კონსერვაციის საკითხი ხარჯთაღრიცხვის რევიზირების აუცილებლობით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ მრჩეველთა საბჭომ იმსჯელა იმ საკითხებზე, რომლებიც ამჟამად ქალაქ ოზურგეთში საზოგადოების მაღალ ინტერესს წარმოადგენს:

**1. საბჭოთა კავშირის გმირთა ბიუსტების განთავსება:** ფოლკლორის ცენტრისა და მუზეუმთა გაერთიანების შენობის მიმდებარედ, რამდენიმე წლის წინ იყო განთავსებული საბჭოთა კავშირის გმირთა ბიუსტები (მათ შორის კონსტანტინე ლესელიძე, პორფირე ჩანჩიბაძე და სხვები). ტერიტორიისა და შენობა-ნაგებობის სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს ხსენებული ბიუსტები მოიხსნა და ციტადელის გარეშე მოთავსდა მიმდებარე ტერიტორიაზე. მოქალაქეთა გარკვეული ჯგუფი ითხოვს, რომ ბიუსტებმა ადგილი გმირთა მოედანზე დაიმკვიდრონ, უშუალოდ. ნაწილი კი მიიჩნევს რომ ძეგლები მუზეუმთან ახლოს, ღია სივრცეში უნდა განთავსდეს, როგორც საერთო სამუზეუმო სივრცის ნაწილი.

შეხვედრაზე წევრებმა სხვადასხვა მოსაზრება გამოთქვეს ძეგლთა განთავსების შესახებ, ზემოთთქმულ ვერსიებთან ერთად ცხრა აპრილის პარკში მათი განთავსების შესაძლებლობაზეც ისაუბრეს.

**რეკომენდაცია** - საბჭოს წევრის, კოტე შავიშვილის მოსაზრებით აუცილებელია შეიქმნას კომისია, რომელიც შეისწავლის აღნიშნულს საკითხს და გადაწყვეტს ხსენებულ ძეგლთა ადგილმდებარეობის განსაზღვრის საკითხს. ბატონი კოტეს მოსაზრებას საბჭოს ყველა წევრი დაეთანხმა.

**2. მაწანწალა ძაღლების საკითხი** - საბჭოს წევრებმა ხსენებულ საკითხზე, როგორც მუდმივად მოუგვარებელ პრობლემაზე კიდევ ერთხელ ისაუბრეს. მაწანწალა ძაღლების (და არა მარტო, კატებიცა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვიც მათ რიცხვში არიან) სიმრავლის გამო მოსახლეობას საფრთხე ექმნება, თუმცა თავშესაფარი, დიდი დანახარჯების გამო, ვერ კეთდება. საბჭოს წევრთა მხრიდან არაერთი ვერსია გამოითქვა: დროებითი თავშესაფარი, საიდანაც მსურველები იშვილებენ ძაღლებს. ასევე გაჩნდა მოსაზრება, რომ სამივე მუნიციპალიტეტმა შექმნას ერთი თავშესაფარი და გადაინაწილონ ხარჯები.

**რეკომენდაცია:** საბჭო რაიმე კონკრეტულ რეკომენდაციამდე ვერ მივიდა, თუმცა წევრები მიიჩნევენ რომ სამივე მუნიციპალიტეტის ზიარი თავშესაფარი შედარებით რაციონალური გადაწყვეტილებაა.

**3. ალუმინის გადამამუშავებელი საწარმოს ფუნქციონირების საკითხი** - გაზეთ „ალიონის წარმომადგენელმა“ ბატონმა ნუგზარ ასათიანმა ისაუბრა ოზურგეთში ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნის ტერიტორიაზე დაგეგმილი ალუმინის სხმულების ქარხანის ფუნქციონირების დაწყების შესაძლებლობის შესახებ. მისი ინფორმაციით ქარხანა იმუშავებს აფრიკიდან და სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი მეორადი ალუმინის გადამამუშავებაზე. მან ისაუბრა ალუმინის გადამამუშავების შედეგად იმ შემზარავ გარემოსდაცვით ზიანზე, რაც თავისი საფრთხით ჩერნობილსაც კი უტოლდება.

ბატონმა ნუგზარმა მრჩეველთა საბჭოს სთხოვა დახმარება, რათა მეტმა და მეტმა ადამიანმა იცოდეს ინფორმაცია აღნიშნული საფრთხის შესახებ, რათა გარემოზე ზიანის შეფასების შესახებ შეხვედრას მეტი დაინტერესებული პირი დაესწროს როგორც სხვადასხვა სექტორიდან, ასევე მოქალაქეთაგან.

კარგი იქნება თუ გახდება შესაძლებელი ექსპერტის დაქირავება, რომელიც შეაფასებს რისკებს.

მრჩეველთა საბჭოს წევრებმა მხარი დაუჭირეს ბატონ ნუგზარს და არა ერთი მაგალითი მოიყვანეს ისტორიული წარსულიდან (პედაგოგმა ხათუნა სალუქვაძემ) მძიმე ლითონების შედეგად გამოწვეული ლეტალური შემთხვევების შესახებ (რომანოვების დინასტია, იაპონიის სათამაშოების ქარხნის მიმდებარე დასახლებები და ა.შ.).

**რეკომენდაცია:** საბჭო მზადაა ჩაერთოს აქტიურად გეზემეს განხილვის პროცესში, ამ საკითხის ირგვლივ გამართულ შეხვედრებში და ასევე ხელს შეუწყობს საკითხის საჯაროობას.

განსახილველ საკითხთა ამოწურვის შემდეგ საბჭომ ცნობად მიიღო სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების თანახმად ორი წევრის, ბატონ თემურ ჯახუასა და ქალბატონ ჟანა გოგატაძის წევრობის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ დაანონსა, რომ შემდგომი, მრჩეველთა საბჭოს რიგით მეექვსე სხდომა გაიმართება ორი თვის შემდეგ, სექტემბრის ბოლო კვირაში.

საბჭოს თავმჯდომარე

გრიგოლ მახარაძე

უუუ

